ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 7

ქ. თბილისი **03.06.2019**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
3. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
4. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
5. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი
9. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
10. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ნათია მჭედლიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა ლამპარი
   თეიმურაზ მენაფირე
2. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
   მარიამ გიორგაძე
   ხათუნა კერესელიძე
   თამარ სარაჯიშვილი
   თათია ზარქუა
3. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი
   ია გუგუნავა
4. შპს ელიტ სქული
   მანანა ცეცხლაძე
   ჯემალ ცეცხლაძე
   დ.ცეცხლაძე
5. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯი
   ირინა ზედგინიძე
   თამარ ხატიაშვილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ლია კობესაშვილი

ეთერ ხუციშვილი

მაკა ნადარეიშვილი

სერგო დურგლიშვილი

ცირა ნიკოლაშვილი

მარიამ ხუციშვილი

ელისო-ნათია ლოლაშვილი

ნინო ფეტვიაშვილი

ელენე კალანდაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

სხდომა დაიწყო 15:10 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის მენაფირის სკოლა ლამპარში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის-ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
4. შპს ელიტ სქულში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. "შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N68 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
6. „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშრებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი იქნა,

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო ჟვანიას მიერ. შუამდგომლობით მოთხოვნილ იქნა ბოლო ორი საკითხის პირველ და მეორე საკითხებად განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი:

1. "შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N68 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
2. „შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის მენაფირის სკოლა ლამპარში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის - ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
6. შპს ელიტ სქულში - განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. **''შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა - კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ'' ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის N68 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ქალბატონმა ქეთევან ციხისელმა. მან ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს იმ ცვლილებების შესახებ, რაც განხორციელდა კვალიფიკაციების კუთხით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ქეთევან ციხისელმა განმარტა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან პრაქტიკულად შეწყდა სტუდენტთა მიღება ეგრეთწოდებულ საგნობრივ პროგრამებზე და მთელი სისტემა გადავიდა მოდულურ პროგრამებზე, რომელიც ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს ანუ საგანმანათლებლო სტანდარტებს. იმავდროულად, კანონი „პროფესიული განათლების შესახებ'' ამბობს, რომ თუ საგანმანათლებლო სტანდარტი შეიცვლება, დაწესებულება ვალდებულია პროგრამა შეუსაბამოს შეცვლილ საგანმანათლებლო სტანდარტს და რადგანაც გარკვეული ინფორმაცია შეცვლილ პროგრამასთან დაკავშირებით არის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში, მაგალითად, როგორიც გახლავთ: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა და სხვა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია მიმართოს საბჭოს შუამდგომლობით და ცვლილებების შემთხვევაში მოითხოვოს საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა. ამასთან, დაწესებულებებს უფლება აქვთ გამოიყენონ „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება და შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განახორციელონ შეცვლამდე არსებული საგანმანათლებლო პროგრამაც. დღეს, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან ერთი სწორედ ასეთი გახლავთ. კანონი „პროფესიული განათლების შესახებ" უკვე ცნობს არა მესამე, მეოთხე ან მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციებს, არამედ საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციებს და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ასოცირებულ ხარისხს. 2018 წლის ბოლოს და 2019 დასაწყისში ცენტრის დირექტორის ბრძანებებით შევიდა ცვლილებები ზოგიერთ ჩარჩო დოკუმენტში და მისანიჭებელი კვალიფიკაციები ჩამოყალიბდა ახალი კანონის შესაბამისად. აქვე ვითვალისწინებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კვალიფიკაციების კოდი გახდა ოთხნიშნა, რაც შეესაბამება სწავლის დეტალური სფეროს კოდს.

შესაბამისად, შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯმა შეცვალა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარადჭერისა და საფინანსო სერვისების პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაციები და კოდები, დადგენილი წესით მომართა ცენტრს და ითხოვა „შპს წმინდა დიმიტრი

ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №68 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა. სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი ცვლილება და ვშუამდგომლობთ საბჭოსთან ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, მათ განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №68 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის №68 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205083112) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	62	77	ქართული	30	ქ. თბილისი, ანნ პოლიტკოვსკაია ქუჩა N10
2	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412	51	66	ქართული	25	ქ. თბილისი, ანნ პოლიტკოვსკაია ქუჩა N10

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში/დუალური.

2. **„შპს მახინჯაურის ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ქალბატონმა ქეთევან ციხისელმა. მან ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს, რომ შპს მახინჯაურის ლიცეუმმა 2019 წლის 18 და 19 აპრილს მომართა ცენტრს წერილობით(ცენტრში რეგისტრაციის №454698) და ითხოვა სამ პროგრამაზე - გემბანის რიგითი მეზღვაური, სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, გემის ელექტრიკოსი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ცვლილება და შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების საერთო ზღვრული რაოდენობის შემცირება 300-დან 153-მდე. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუამდგომლობს დაწესებულებას და რადგანაც, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ არის მიღებული, გთხოვთ, ამავე საბჭომ შეიტანოს ცვლილება გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით, დაწესებულება თანახმაა მისი წარმომადგენლის გარეშე განიხილოს საბჭომ საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, მათ განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს „მახინჯაურის ლიცეუმის“ ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს „შპს „მახინჯაურის ლიცეუმის" ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №12 გადაწყვეტილებაში. კერძოდ,

ა) გადაწყვეტილების მეორე პუნქტში ჩაიწეროს: შპს „მახინჯაურის ლიცეუმს“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 153 - ით.

ბ) გადაწყვეტილების მესამე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების სზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	გემბანის რიგითი მეზღვაური	მესამე	გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051	60	ქართული	68	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38
2	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	მესამე	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60	ქართული	49	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38

			111052				
3	გემის ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	36	ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი 38

3. **შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის მენაფირის სკოლა „ლამპარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო სხდომის ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექპერტებმა ლია კობესაშვილმა, ეთერ ხუციშვილმა და მაკა ნადარეიშვილმა. ლია კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები დადებითად ფასდებოდა, სკოლას ჰქონდა კარგი ადამიანური და მატერიალური რესურსები სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. მესამე მუხლის ყველა პუნქტი დაკმაყოფილებული იყო, გარდა „დ“ პუნქტისა. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იყო გაწერილი, რომ მოსწავლის შეფასება საშინაო დავალების კომპონენტში V-VI კლასებში მხოლოდ განმავითარებელი იყო. აღნიშნული დარღვევა გამოიკვეთილი იყო შესაბამისი კლასის საკლასო ჟურნალებში. მოსწავლეები მე-5, მე-6 კლსებში განმსაზღვრელი შეფასებით შეფასებულები იყვნენ საშინაო დავალების კომპონენტშიც. რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტს. ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები.

ექსპერტმა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ხარვეზი ფიქსირდებოდა დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვაში, კერძოდ, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ საქმისწარმოების წესი რიგ შემთხვევაში დარღვეული იყო. მაგალითად, ზოგიერთი მოსწავლის პირად საქმეში არ იდო მშობლის განცხადება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის მოთხოვნის თაობაზე და ბრძანება მოსწავლის კლასში ჩარიცხვაზე, არ იყო შევსებული მოსწავლის მობილობის გრაფა.

შეუსაბამობა გამოვლინდა სკოლაში 2018 წლის 6 მარტს ჩარიცხულ ერთ-ერთი მოსწავლის შემთხვევაშიც. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან უარი იქნა მიღებული მეშვიდე კლასში მიღებული განათლების აღიარებაზე 14 ივნისს, მაშინ როდესაც სკოლას მოსწავლე უკვე ჩარიცხული ჰყავდა მე-7 კლასში. 2018 წლის 21 ივნისს კი აღნიშნული მოსწავლე გადაყვანილ იქნა მე-8 კლასში. სკოლაში ასევე

ირიცხებოდა მოსწავლე, რომლის მობილობის შესახებ სკოლამ ვიზიტის პერიოდში ინფორმაცია ვერ წარმოადგინა.

სკოლასთან პრეტენზია ჰქონდა 10 მოსწავლის მშობელს. რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სკოლაში 2015 წელს ჩაირიცხა 2009 წელს დაბადებული 10 ბავშვი, (აღნიშნულ ბავშვებს სასკოლო ასაკი, 6 წელი უსრულდებოდათ 2015 წლის 17 სექტემბრიდან 5 დეკემბრამდე პერიოდში) და ისინი სკოლამ ჩარიცხა პირველ კლასში. მათი მტკიცებით, ეს ბავშვები ახლა მე-4 კლასში სწავლობდნენ, მაგრამ ირიცხებოდნენ მესამე კლასში. სკოლაში მშობელთა კრების ოქმების მიხედვით ირკვეოდა, რომ მშობლები ხელს აწერდნენ მესამე კლასის კრების ოქმებს. მშობლებს სურდათ ექსტერნატის ფორმით მოსწავლეებს დაეძლიათ მეოთხე კლასი, რაზედაც უარი მიიღეს რესურსცენტრიდან ვინაიდან ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების თანახმად პირს უფლება აქვს ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს სასწავლო პროგრამა იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის საგანმანათლებლო პროგრამა. სკოლაში არსებული დოკუმენტაციის გაცნობით ირკვეოდა, რომ ბავშვები სასკოლო ჟურნალების მიხედვით ირიცებოდნენ მესამე კლასში, რაც თანხვედრაში იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზების მონაცემებთან. სკოლაში გასაუბრებაზე გამოცხადდა საჩივარზე ხელმომწერ მშობელთა 40%. გასაუბრებაზე მათ კმაყოფილება გამოთქვეს სკოლის მომსახურებაზე, დაადასტურეს, რომ მათი შვილები სწავლობენ მე-3 კლასში (და არა მეოთხეში, როგორც ეს განცხადებაში იყო მითითებული) და სურდათ, რომ ბავშვებს საშუალება მისცემოდათ ექსტერნატის ფორმით დაეძლიათ მე-4 კლასი. რაც შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ მოსწავლეები 4 წელია სკოლაში სწავლობდნენ, ამაზე მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მათ ნამდვილად მიიყვანეს სკოლაში მოსწავლეები 4 წლის წინ, ვინაიდან საბავშო ბაღი უკვე გავლილი ჰქონდათ, თვლიდნენ რომ მათ შვილებს ჰქონდათ სასკოლო მზაობა და სკოლამ ისინი ჩარიცხა ე.წ. „სასკოლო მზაობის" ჯგუფში. დაწესებულებამ აღნიშნული „სასკოლო მზაობის" ჯგუფის არსებობის/მომსახურების/ჯგუფში ჩარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მონიტორინგის დროს ვერ წარმოადგინა. ამავე მოსწავლეთა პირად საქმეებში ვერ იქნა მოძიებული მშობელთა განცხადებები მათი შვილების პირველ კლასში ჩარიცხვის მოთხოვნით.

დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მშობლები ინფორმირებულები იყვნენ. მანვე განმარტა, რომ მოსწავლეებს არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ, ისინი ირიცხებოდნენ მესამე კლასში და გადავიდოდნენ მეოთხე კლასში.

საბჭოს წევრმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, მისცა თუ არა მან მშობლებს დაპირება იმის შესახებ, რომ ის მოსწავლეებს ჩარიცხავდა პირველ კლასში და დაეხმარებოდა შემდეგ ექსტერნატით კლასის დაძლევაში.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ მშობლებს მან უთხრა, თუ მას კანონი ამის შესაძლებლობას მისცემდა აუცილებლად დაეხმარებოდა, თუმცა გარანტია არ მიუცია.

ექსპერტმა თქვა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო სულ 39 პედაგოგი. მათგან 10 იყო უფროსი პედაგოგი, 15 პრაქტიკოსი, ხოლო 14 პედაგოგი იყო სტატუსის გარეშე, თუმცა თითოეულ მათგანს დიპლომის მიხედვით უდასტურდებოდა შესაბამისი საგნის კვალიფიკაცია.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ თითოეული მათგანი დარეგისტრირებული იყო გამოცდებზე.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ, იკითხა, როგორი იყო იმ მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა, რომლებიც არ იყვნენ სქემაში ჩართულნი.

სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ მათ ნაკლები საათობრივი დატვირთვა ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები , საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის" ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის" (ს/კ:216351043) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 16:05 საათზე.

სხდომა განახლდა 16:15 საათზე.

4. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექსპერტებმა: სერგო დურგლიშვილმა, მარიამ ხუციშვილმა, ელისო ლოლაშვილი - მერებაშვილმა და ცირა ნიკოლაშვილმა.

სერგო დურგლიშვილმა განმარტა, რომ შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში" სწავლება ხორციელდებოდა შემდეგი ხუთი საგანმანათლებლო პროგრამის საშუალებით:

1. პროგრამა „სენტ ეგზიუპერი";
2. პროგრამა „ ა - Z" (ანი - ცეტი);
3. პროგრამა „მარი ბროსე";
4. პროგრამა „მოძღვარი";
5. პროგრამა „ექვთიმე თაყაიშვილი".

მან აღნიშნა, რომ ეს სკოლები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმართებოდა. პრობლემა კი იყო ,,მარი ბროსეს" სკოლაში, რაც გამოწვეული იყო არასწორი მენეჯმენტით. მისი განმარტებით, ვიზიტის დროს გამოსწორდა ყველა ხარვეზი, მათ შეცვალეს სკოლის მფლობელიც და შეიცვალა მენეჯმენტიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლას მიმართა შეკითხვით, რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას მსგავსი პრობლემების თავიდან ასარიდებლად, რათა სკოლას შეძლებოდა მომავალში კოორდინებული მუშაობა.

სკოლის განმარტებით, მათ შემუშავებული ჰქონდათ აღნიშნული მექანიზმები და ვიზიტის შემდეგ მეტად აქტიურად იყენებენ მათ. საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განმარტა და დაეთანხმა იმ აზრს, რომ ამგვარ გაერთიანებულ სკოლებში ერთმანეთთან კომუნიკაციის და, ზოგადად, კოორდინაციის არარსებობის ერთადერთი გადაჭრის გზა არის სექტორთა შორის შიდა მონიტორინგის განხორციელება, რაც გაამთლიანებს ხუთივე სკოლას და შემდგომ გართულებებს ააცილებს თავიდან.

სკოლის იურისტმა დაამატა ასევე, რომ ერთ - ერთი სექტორის ხელმძღვანელად არჩეული პირი, ხუთივე სექტორის სასწავლო პროცესს გაუწევდა კოორდინაციას, რაც სამომავლოდ, უზრუნველყოფდა ჯანსაღი და თანამშრომლობით სასწავლო გარემოს შექმნას.

საბჭოს წევრმა დათო ჭეიშვილმა კითხვები დასვა არჩევით საგნებთან და მასწავლებელთა სტატუსებთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ისწავლება არჩევითი საგნები: ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კულტურა, ქიმიური ტექნოლოგიები და რუსული ენა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ისწავლებოდა 5 სემესტრის განმავლობაში. რაც შეეხება, მასწავლებელთა სტატუსებს, 39 უსტატუსო პედაგოგიდან 16 პიროვნებას დიპლომით უდასტურდება მასწავლებლობის უფლება, საგანი ჩაბარებული აქვს 8 მასწავლებელს, 2 მასწავლებელს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და გაგზავნილია წერილი სტატუსის მინიჭების შესახებ სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, სკოლის წარმომადგენალმა აღნიშნა, რომ უსტატუსო მასწავლებლები გაივლიდნენ მასწავლებელთა 60 კრედიტიან პროგრამას. ამ ეტაპზე კი ისინი სარგებლობდნენ მოწვეული მასწავლებლების სტატუსით და კანონმდებლობის შესაბამისად მათთვის განსაზღვრული იყო ცხრასაათიანი დატვირთვა.

შემდეგი კითხვა, საბჭოს წევრის მხრიდან, შეეხებოდა კამერებს, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის სამივე შესასვლელთან დამონტაჟებული იყო კამერები და კონტროლდებოდა მიმდებარე პერიმეტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები , საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ, რადგან სკოლას ყველა ხარვეზი გამოსწორეული ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული

წარმოება შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელის (ს/კ: 404901406) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნით სკოლამ მიმართა სსიპ-განალების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მან სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, რამ გამოიწვია სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის დღის წესრიგში დაყენება.

სკოლის წარომადგენლის განმარტებით, არსებული ფინანსური მდგომარეობა არ აძლევდა მათ საშუალებას გაეგრძელებინად ზოგადსაგანმანათლებლო საქამიანობა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა იკითხა, მოსწავლეები თუ იყვნენ მობილობით გადასულები. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ თითოეული მოსწავლე დაბინავებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები , საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტს (ს/კ 208217865) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

6. შპს ელიტ სქულში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და ელენე კალანდაძემ.

ექსპერტის განმარტებით სკოლა ავტორიზაციის მინიჭების დროს ფლობდა 634 კვ.მ. ფართს.

მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლამ ავტორიზაციის გავლის შემდეგ იჯარის ხელშეკრულებასი შეიტანა ცვლილება, რითაც შეიმცირა ფართი. მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულება ფლობდა ფართს 150 კვ.მ-ს, 634 კვ.მ.-ის ნაცვლად. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მეორე სართულის ოთხ და მეოთხე სართულის ერთ საკლასო ოთახებში. ვიზიტის დროს ერთი საკლასო ოთახი განლაგებული იყო მესამე სართულზეც, რომელიც ამ დროისთვის სარგებლობის უფლებით შპს ელიტსქულს არ ეკუთვნოდა.

მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს, სკოლამ წარმოადგინა დამატებითი შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებაში, რომლის თანახმადაც 2019 წლის 02 მაისიდან სკოლა იჯარით ფლობდა მეორე სართულის 5 ოთახს, მესამე სართულის 2 ოთახს და მეოთხე სართულის 3 ოთახს, სულ 350 კვ.მ. თუმცა აზომვითი ნახაზი ან რაიმე სხვა დოკუმენტი წარმოდგენილი არ იყო, ამიტომ კონკრეტულად რომელ ოთახებზე იყო საუბარი ხელშეკრულებაში, ბუნდოვანი იყო.

ვიზუალური დათვალიერებით კლასებში განლაგებული მერხებისა და სკამების რაოდენობა იყო - 51 სკამი, 47 ერთადგილიანი მერხი. კლასები აღჭურვილი იყო შესაბამისი რაოდენობის დაფებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სკოლა ფლობდა 115 ერთადგილიან მერხს და 132 სკამს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ეს ინვენტარი დასაწყობებული იყო სხვა ფართზე.

სკოლას ასევე არ ჰქონდა ახალი სახელმძღვანელოები, თუმცა მან ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ახალი წიგნების შესყიდვის დოკუმენტი, რომელიც არ იყო სრული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამული ნაწილის თითქმის ყველა პუნქტი დარღვეული ჰქონდა სკოლას. ვიზიტის დროს ვერ დადასტურდა სკოლა ხელმძღვანელობდა თუ არა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არ იცნობდნენ სკოლის მისიას და არ იცოდნენ რას ნიშნავდა და როგორ უნდა განევითარებინათ მოსწავლეებისათვის გამჭოლი კომპეტენციები.

სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი. ავტორიზაციის დროს არსებული სპორტული დარბაზის ადგილას იყო მაღაზიის საწყობი. სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის განსაზღვრული სპორტის სახეობები. სპორტის მასწავლებლის (ამავე დროს სასწავლო პროცესის კოორდინატორისა და სამეურნეო ნაწილის გამგის) განმარტებით მშობლების მოთხოვნით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე მოსწავლეები თამაშობენ ჭადრაკს, ხოლო ფიზიკური აქტივობები, კერძოდ ფეხბურთი ტარდებოდა ბულვარში მოედანზე.

ლაბორატორია იყო ბიბლიოთეკაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დაწყებით საფეხურზე, ამიტომ, დირექტორის განმარტებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ ესაჭიროებოდა. ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებული იყო ბიბლიოთეკის, ამავე დროს კომპიუტერული ოთახის, ღია კარადაში უსაფრთხოების ნორმების დარღვევით.

სკოლას სულ ჰქონდა 5 კომპიუტერი. მონიტორინგის ვიზიტის დროს პირველ დღეს ინტერნეტთან წვდომა სკოლაში არ იყო.

სკოლის მიერ eSchool - ის ბაზაში დარეგისტრირებული თანამშრომლების სიის მიხედვით სკოლას ჰყავდა 30 თანამშრომელი. ხოლო ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლაში ამჟამად დასაქმებული იყო მხოლოდ 12, მათგან 9 პედაგოგი იყო. ხელშეკრულება გაფორმებული სკოლას ჰქონდა მხოლოდ პედაგოგებთან და დარაჯთან. მასწავლებელთა ნაწილი შერჩეული იყო „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად - **5** მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, ხოლო 4 მასწავლებლის კვალიფიკაცია შეუსაბამო იყო.

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც სათანადო წესით არ იყო დამტკიცებული და ასევე არ იყო შედგენილი სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ასევე სამოქმედო გეგმების ზოგიერთ ნაწილში იკითხებოდა სხვა სკოლის სახელწოდება.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა გამოხატავს მზადყოფნას გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზები. მან განმარტა, რომ ფართის პრობლემა წარმოიშვა 2017 წლის დასაწყისში ფინანსური პრობლემების გამო და დღეს ფართთან დაკავშირებული პრობლემა სკოლამ მოაგვარა.

მან განმარტა, რომ სკოლამ პედაგოგიური საბჭოს საფუძველზე შეიტანა ცვლილება სკოლის მისიასა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. მისია გახდა უფრო კონკრეტული. ამავე დროს მოხდა სამი კომპიუტერის ჩუქების ნოტარიული აქტის გაფორმება. ამჟამად სკოლას ჰქონდა 8 კომპიუტერი.

საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს რა პროგრამით ისწავლებოდა სკოლაში ჭადრაკი. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჭადრაკის პროგრამით. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ სკოლას პირველ მეორე კლასებში უნდა გამოეყენებინა მხოლოდ ელექტრონული პროგრამა.

სკოლამ განმარტა ასევე, რომ წიგნების დეფიციტი სკოლამ სრულად აღმოფხვრა ვიზიტის შემდეგ, 7 მაისს. ამასთან ერთად ბიბლიოთეკა და ლაბორატორია გაიმიჯნა. ყველა ხელშეკრულება სრულად გაფორმდა და შესაბამისობაში მოვიდა. დანარჩენი ადამიანური რესურსის ნაწილი კი საერთო ბაზიდან ამოიშალა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტ სქულის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლი, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე--3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შეაბამისად, შპს ელიტ სქულს (ს/კ 247009053) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასწავლო წელი მალე სრულდებოდა, საბჭომ მიზანშეწონიალად მიიჩნია, შპს ელიტ სქულისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 20 ივნისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე